# ლელო

№36 (10947)

სექტემბერი. 1995 წ.

ფასი 1000 რუბლი, ან 260 000 კუპონი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ქრთამად ქურქები და დოლარები

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის სადისციპლინო-საკონტროლო კომისიამ პორტუგალიის ქალაქ პორტუში განიხილა ჩემპიონთა ლიგის მატჩის საკითხი კიევის „დინამოსა“ და საბერძნეთის „პანათინაიკოსს“ შორის, რომელიც ახლახან შედგა კიევში (1-0 კიეველთა სასარგებლოდ), კერძოდ, მოისმინა მატჩის ინსპექტორის რაპორტი იმის თაობაზე, რომ კიეველთა წარმომადგენლებმა (ვ. ბაბიიჩუკი, ი. სუკრისი) ესპანელ მსაჯს ლ. ნიეგოს 30 ათასი დოლარი და ქალის ორი ძვირფასი ქურქი შესთავაზეს, ხოლო დამხმარე მსაჯებს — ასევე ქურქები და ბეწვის ქუდები. ლ. ნიეგომ მომხდარი ამბის შესახებ ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე შეატყობინა უეფას, მატჩის შემდეგ კი ახსნა-განმარტებითი ბარათიც წარადგინა.

სადისციპლინო კომისიამ კიევის „დინამოს“ 3 წლით აუკრძალა მონაწილეობა უეფას ეგიდით გამართულ სამივე ევროტურნირში, ხოლო შედეგი ანულირებულია. კიევის დინამოელთა ნაცვლად გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს დანიის „ოლბორგი“.

„ოლბორგი“ და საბერძნეთის „პანათინაიკოსი“ ურთიერთს შეხვდებიან 25 ოქტომბერს.

## ვინ საიდან, ვინ საით...

● სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადიდან, პირველად ამ ასპარეზობის ისტორიაში, საქართველოს წარგზავნილები უმედლოდ დაბრუნდნენ. თუმცა, დელეგაცია უსახსრობის გამო ერთობ მცირერიცხოვანი იყო — ხუთი ძიუდოისტი და ერთი მძლეოსანი. ჩვენს სპორტსმენებს მწვრთნელი ვერ გააყოლეს, ხოლო გუგავას ნაცვლად ტოტიკაშვილი არ დაუშვეს ასპარეზობაზე, რადგან განაცხადში ისევ გუგავა ფიგურირებდა, რომელსაც ასაკის გამო თურმე არ ჰქონია უნივერსიადაში გამოსვლის უფლება.

● 20 წლამდე მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე გერმანიაში (ქ. ჰალე) გაემგზავრა ინგა ხურცილავა, ნინო ხურციძე, ნატო ეძგვერაძე, ნათია აფხაიძე და ალექსანდრე ყაშაშვილი. მწვრთნელია ვანო ვეფხვიშვილი.

● ჩვენი ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძე, მისი მწვრთნელი ნიკოლოზ ჭანტურია და ფედერაციის პრეზიდენტი ომარ ღონღაძე იაპონიაში გაემგზავრნენ. ქ. საბეიაში ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც გიორგაძის მონაწილეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება გაისად ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ლიცენზიის მისაღებად.

● ევროპის პირველობაზე, შვეიცარიაში, გაემგზავრა საქართველოს ტყვიის მსროლელ ქალთა ნაკრები გუნდი.

### მხოლოდ ტექნიკური შედეგები

### ევროპის საკლუბო ჩემპიონატი კალათბურთში (ვაჟები)

კაუნასი. „სპორტჰალე“.

„ჟალგირისი“ (კაუნასი) — „ვითა“ (თბილისი) 100:69 (48:25)

„ჟალგირისი“: შეშტოკასი (20), ლუკმინასი (16), ბრიჩი (15), ვისოცკასი (13), სირტაუტასი (10), სტუმბრისი (10), ჟუკაუსკასი (7), კურტინაიტისი (4), მასკალიუნასი (3), ბაბიჩი (2).

„ვითა“: შენგელია (16), სანაძე (14), კობეშავიძე (13), ჩხეიძე (II), კოკოლიშვილი (7), ტურაშვილი (3), ბაქრაძე (2), თორთლაძე (2), დადიანი (1).

მსაჯები: პერკისი (ლატვია) და ფომინი (რუსეთი).

პირველი მატჩი 78:70 „ჟალგირისის“ სასარგებლოდ.

ქვემოთ გთავაზობთ ევროპის საკლუბო ტურნირის სხვა მატჩების შედეგებს (შავით გამოყოფილია გუნდები, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას).

**„ფილეფინანცი“ (შვეცია)** — ბრნო (ჩეხეთი) 93:69 (92:106)— ფრჩხილებში აღნიშნულია პირველი მატჩის შედეგი.

„ჰონვედი“ (უნგრეთი) — **„კალევი“ (ესტონეთი)** 81:96 (57:78)

**„სიბიუ“ (რუმინეთი)** — „ტირანა“ (ალბანეთი) 69:67 (87:63).

**„აპოელი“ (კვიპროსი)** — „სენტ-პელტონი“ (ავსტრია) 86:71 (67:60).

**„ბანიკი“ (სლოვაკია)** — „ზენიცა“ (ბოსნია) 71:68 (71:68).

„ბრობა“ (შვეცია) — **„ოსტენდე“ (ბელგია)** 64:77 (61:79)

**„შეფილდი“ (ინგლისი)** — „ელმსანქი“ (ლუქსემბურგი) 85:82 (99:79)

**„ჰაპოელი“ (ისრაელი)** — „კოივოლა“ (ფინეთი) 103:81 (82:92)

**„ბკ ზაგრები“ (ხორვატია)** — „პრუშკოვი“ (პოლონეთი) 93:68 (74:79).

**„პარტიზანი“ (იუგოსლავია)** — „პლევენი“ (ბულგარეთი) 92:95 (93:83).

**„პო ორტეზი“ (საფრანგეთი)** — „დენ ჰოლდერი“ (ჰოლანდია) 88:57 (94:72).



## ახალი ამბები

### დავა ფიფას პრეზიდენტობისათვის

როგორც უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, უეფას პრეზიდენტს ლენარტ იუჰანსონს (შვეცია) განზრახული აქვს სათავეში ჩაუდგეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას 1998 წლიდან, მას შემდეგ, რაც ახლანდელ პრეზიდენტს ჟოაო აველანჟს გაუვა უფლებამოსილების ვადა. ამის თაობაზე იგი ოფიციალური განცხადებით გამოვიდა უეფას სხდომაზე ქ. პორტუში.

### იაპონია თუ კორეა?

27 სექტემბერს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში, შესაფერის საზეიმო ვითარებაში, იაპონიის წარმომადგენლები ოფიციალურ განაცხადს შეიტანენ 2002 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მათ ქვეყანაში მოწყობის თაობაზე. მეორე დღეს, 28 სექტემბერს ზუსტად ასეთივე განაცხადს წარადგენენ კორეის წარმომადგენლები.

საკითხს, თუ სად გაიმართება 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, ფიფა გაარკვევს გაისად, ივნისში.

### საერთაშორისო მატჩები

გაიმართა ეროვნული ნაკრები გუნდების რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა: ესპანეთი — არგენტინა 2-1, ისრაელი — ურუგვაი 3-1, საბერძნეთი — იუგოსლავია 0-2, იაპონია — პარაგვაი 1-2.

### მურთაზ ხურცილავა ჩამოშორდა „სამტრედიას“

როგორც ცნობილი გახდა „სამტრედიის“ (სამტრედია) მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა წავიდა გუნდიდან. მის მოვალეობას ასრულებს მეორე მწვრთნელი კახაბერ ელაშვილი.

### მილოცვა

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს, ქუთაისში კალათბურთის დაულალავ პროპაგანდისტს ნიკოლოზ დოლაბერიძეს.


### იყიდება

თანამედროვე იტალიური ავეჯი. ავეჯი განკუთვნილია როგორც ოფისების, ისე ბინების მოსაწყობად.

დარეკეთ: 95-70-64 (დღისით); 68-54-48 (საღამოს).


### საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### პირველი ჯგუფი. VII ტური

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 2-2

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „დინამო“ (თბილისი) 0-2

„დილა“ (გორი) — „სიონი“ (ბოლნისი) 3-2

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3-0

„ივერია“ (ხაშური) — „კახეთი“ (თელავი) 1-0

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 7-0

„დინამო“ (ბათუმი) — „ეგრისი“ (სენაკი) 3-1

„დინამო“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1-3

„კოლხეთი“ - 1913“ (ფოთი) — „დინამო“ (ბათუმი) 1-1 (VI ტურის მატჩი).

## მოკლედ...

სწორედ რომ სიმბოლური იყო — თბილისის № 1 საშუალო სკოლის აღდგენისადმი მიძღვნილმა მძლეოსნურმა ესტაფეტამ სტარტი აიღო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტიდან და დამთავრდა პირველი საშუალო სკოლის წინ. ესტაფეტაში მონაწილეობდა თბილისის ყველა რაიონის მოსწავლე — მძლეოსანთა ნაკრები. ადგილები ასე განაწილდა: 1. ისნის რაიონი, 2. ჩუღურეთის რაიონი, 3. გლდანის რაიონი.

ცნობილი საფეხბურთო არბიტრის და აღმზრდელის გიორგი ბაქანიძის ხსოვნის ტურნირი მინიფეხბურთში მოიგო „იმედმა“ (სპორტის აკადემია), რომელმაც ფინალში აჯობა „ცხინვალს“ (სამაჩაბლოდან ლტოლვილთა გუნდი).

თბილისის სპორტის სამმართველოში შეხვედრა გაუმართეს ვეტერანებს — შოთა ახვლედიანს, ანდრო ნავასარდოვს, ოთარ დიდებულიძეს, ვლადიმერ სამსონაძეს, ავთანდილ გიორგობიანს, არჩილ მხეიძეს, სპორტულ ჟურნალისტს შალვა ქირიას. მოწვეულთ გადაეცათ სუვენირები. გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

FIDE

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

## „ეს მხოლოდ დასაწყისია“

**როგორც კი ნიუ-იორკში კასპაროვ-ანანდის მორიგი პარტია მთავრდება, მსოფლიო ჩემპიონი ჟურნალისტებს მოკლე ინტერვიუს აძლევს. როგორ აფასებს იგი ამ მატჩში შექმნილ სიტუაციას?**

— თუ დრამატიზმზე ვილაპარაკებთ, უპირველესად, რა თქმა უნდა, მესამე პარტია უნდა გამოვყო. დებიუტის შემდეგ სრულიად უნუგეშო პოზიცია მივიღე, ანანდს რომ კუ შეეწირა. პირდაპირ გეტყვით, გამოსავალს ვერ ვხედავდი. მაგრამ არ ვიცი რატომ, მან სულ სხვა გზა აირჩია, უპირატესობაც მაშინვე დაკარგა.

კასპაროვმა ამ პარტიის შემდეგ, რომელსაც „მძიმე კოშმარი“ უწოდა, მაინც არ აიღო ხელი შავებით სიცილიური დაცვის შევენინგენის ვარიანტზე, რომელიც მისი ძირითადი იარაღია, ოღონდ აქ ახალი, აქტიური გეგმა გამოიყენა. მეხუთე პარტიაში ინდოელმა თეთრებით არა თუ ვერაფერს მიაღწია, საკმაოდ უსიამოვნო პოზიციაც კი მიიღო.

გ. კასპაროვი: მე მაინც ვერ დავეთანხმები კომენტატორებს, თითქოს ამ შეხვედრაში რაიმე გადამწყვეტი უპირატესობის მიღება შემეძლო. უკეთესი პოზიცია კი შემექმნა, მაგრამ, პირდაპირ რომ ვთქვათ, დიდი არაფერი მქონდა...

ამ შეხვედრაში ანანდმა მისთვის ჩვეული ალღო გამოამჟღავნა, როცა დარწმუნდა, რომ კასპაროვის ინიციატივა იზრდებოდა და შესაძლოა სახიფათო ვითარება შექმნილიყო. იგი დროულად გადავიდა დაცვაზე, ერთ სვლაზე 40 წუთზე მეტი იფიქრა და გამოასწორა კიდეც მდგომარეობა.

გ. კასპაროვი: ეს მხოლოდ დასაწყისია, მოგვიანებით შევიტყობთ ვისი ტაქტიკაა უფრო სწორი.

ექსპერტები, რომლებიც მრავლად ესწრებიან მატჩს, სწორად მიიჩნევენ ანანდის გადაწყვეტილებას გამოჩენილი ინგლისელი დიდოსტატის ჯონათან სპილმენის თავის ბანაკში მიწვევის თაობაზე, რომელიც ელიზბარ უბილავასა და არტურ იუსუპოვს ამოუდგა მხარში. საქმე ის არის, რომ სპილმენი, რომელიც დებიუტების დიდ მცოდნედ ითვლება, წლების განმავლობაში საგულდაგულოდ სწავლობდა კასპაროვის შემოქმედებას, მისი მრავალი პარტიაც ზეპირად ახსოვს, შემდეგ იგი კასპაროვ-შორტის მატჩის დროს ეხმარებოდა თავის უმცროს ინგლისელ მეგობარს. კასპაროვმა ეს ორთაბრძოლა კი მოიგო, უბრალოდ იმიტომ, რომ კლასით აშკარად აღემატებოდა მეტოქეს, მაგრამ შავებით საკმაო სიძნელეებს აწყდებოდა. „ანანდი შორტი არ არის!“ — ეს გამოთქმა თვით კასპაროვს ეკუთვნის, ისე რომ, ახლანდელ მეტოქეს შეუძლია ჩემპიონს გაცილებით მეტი უსიამოვნება მოუტანოს...

ანანდი კასპაროვისგან განსხვავებით, იშვიათად ხვდება ჟურნალისტებს. კითხვაზე ძალიან იღლება თუ არა პარტიის შემდეგ, ინდოელმა უპასუხა, რომ „ჭადრაკი როკ-ენ-როლი არ არის“. მით უმეტეს, რომ თამაში გართულდა მას შემდე, რაც პარტიების გადადება გაუქმდა და შეხვედრები განუწყვეტლად მიმდინარეობს. ანანდს ხშირად ეკითხებიან რას ფიქრობს ანატოლი კარპოვის შესახებ, რომელმაც მალე უნდა დაიწყოს მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფიდეს ვერსიით გატა კამსკისთან. ამაზე ანანდი მოკლედ და კონკრეტულად უპასუხებს ხოლმე, რომ კარპოვი საერთოდ არ მიაჩნია მსოფლიო ჩემპიონად.

ის, რომ მატჩს ტელევიზიის საშუალებით ჭადრაკის მოყვარულთა მილიონები ადევნებენ თვალს, უკვე საყოველთაოდ ცნობილია, სხვადასხვა არხებით პარტიებს არჩევენ ბორის გულკო, ლევ ალბურტი, ლეონიდ შამკოვიჩი და სხვა აღიარებული ექსპერტები. რაც შეეხება უშუალოდ მატჩზე დამსწრე მაყურებლებს, რომელთა რიცხვი ბილეთების სიძვირის მიუხედავად ძალზე დიდია, მათ ყველა სვლას უჩვენებენ და საკვანძო მომენტებს უხსნიან დიდოსტატი დენიელ კინგი (ინგლისი) და ზანგი საერთაშორისო ოსტატი ბორის ეშლი (კანადა). მასზე ამბობენ, რომ იგი პირველი ზანგი იქნება, ვინც დიდოსტატის წოდებას მოიპოვებს.

მატჩი კი ამასობაში თანდათან თავის „მიტელშპილს“ უახლოვდება.

რვა ტურის შემდეგ ანგარიში საყაიმოა — 4:4

გივი გამრეკელი

### ტიურინი სროლის შუაგულში

ევროპის სამგზისა და სსრკ-ის ხუთგზის ჩემპიონი ძიუდოში (მძიმე წონა და აბსოლუტური კატეგორია) ალექსანდრე ტიურინი მოჰყვა საშინელ სროლაში და მიიღო უმძიმესი ჭრილობები კისრისა და გულმკერდის არეში. მძიმედ დაჭრილი ექსჩემპიონი მიიყვანეს საავადმყოფოში. ექიმების განცხადებით დაჭრილის მდგომარეობა კლინიკაში მიყვანის დროს კრიტიკული იყო. სამართალდამცავი ორგანოები აზუსტებენ ტრაგიკული ინციდენტის დეტალებს: შემთხვევით მოხვდა ტიურინი სროლის ადგილზე თუ მისი აქტიური მონაწილე იყო.

# „ყველაზე მეტად გაგუას წინააღმდეგ მეჯავრებოდა თამაში!“

**უკვდავი „ილიადისა“ და „ოდისეას“ ავტორის — ჰომეროსის სამშობლოს პრეტენზია ძველ ელადაში, მოგეხსენებათ, სხვადასხვა ქალაქს ჰქონდა. ასეა ქართულ ფეხბურთშიც: მაინც რომელია ჩვენში ამ პოპულარული თამაშის „ალმა მატერი“ — ფოთი თუ ბათუმი, მაინც რომლის ნავსადგურში ჩაუშვა ღუზა პირველად დიდი ბრიტანეთის გემმა, რომლის მეზღვაურებმა ფეხით სათამაშო ტყავის ბურთი რომ ჩამოიტანეს ქართულ მიწა-წყალზე?! ბათუმელებს რომ ჰკითხო, თავიანთ ქალაქს დაასახელებენ, აი ფოთელები კი დარწმუნებული არიან, რომ ინგლისელმა ფეხბურთელებმა ქართულ მიწაზე ფეხი პირველად სწორედ მათ პორტში დადგეს. ნუ ვიდავებთ ახლა ამის თაობაზე, მით უმეტეს, რომ ჩვენ დღეს ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზე გვაქვს საუბარი — თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთ ცნობილ და პოპულარულ მოთამაშეზე, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გრიგოლ გაგუაზე.**

...რვა უბანი იყო მაშინ ფოთში და ყველას ჰყავდა ფეხბურთის გუნდი — ნახუტარს, ნაბადას, პორტს, ახალსოფელს, პარკს, კუნძულს, ანუ როგორც მას უფრო ხშირად უწოდებდნენ „ოსტროვს“. გრიშა გაგუა, ბორია პაიჭაძე და ვალოდია ბერძენიშვილი „ოსტროვის“ გუნდში თამაშობდნენ, „სტადიონიც“ იქვე იყო, სახლთან ახლოს, ყაზარმის გვერდით. რანაირი ბურთით არ თამაშობდნენ ბიჭები (ჭინჭის, ღორის ბუშტით), სანამ ერთ-ერთ ინგლისურ გემზე ნამდვილი ბურთი არ იშოვეს. თანდათანობით ნორჩებმა ნავსადგურის მოედანზე გადაინაცვლეს. აქ მშვენიერი ბალახის მინდორი იყო, ჭადრებით შემოჯარული. ორი თუ სამი რიგი ხის სკამებიც ჩაედგათ მოჩრდილულ მხარეს. ახლა აქ სხვადასხვა უბნის ბიჭებიც მოდიოდნენ — გვაჩი ჯორბენაძე, ვანიჩკა კინწურაშვილი, ტიტე ჯორჯიკია... „ენა გვისწრებს“ და ვჩქარობთ ვთქვათ, რომ მოგვიანებით ისინი თბილისის „დინამოში“ მიიღეს, აი მაშინ კი... უფროსებმა, რომლებსაც ეფრემ ლაითაძე („პაპაშა“) თავკაცობდა, შეარჩიეს რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა და საგანგებო ვარჯიში დაუნიშნეს თავიანთ გუნდთან — „ცოლშვილიანებთან“ ერთად. ერთი წლის შემდეგ ახალბედები ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად თან წაიყვანეს დონბასში.

— ათი მატჩი ვითამაშეთ, მგონი, და რვა მოვიგეთ. იქიდან დნეპროპეტროვსკში გავემგზავრეთ. კვლავ გავიმარჯვეთ, მაგრამ მასპინძლებმა გვთხოვეს, კიდევ ერთი შეხვედრა ჩაგვეტარებინა. ამასობაში სასწრაფოდ ჩამოიყვანეს ქვეყნის ნაკრების წევრები, კიეველები ლაიკო და გრებერი. ერთი სიტყვით, დაუმარცხებელი არ გამოგვიშვეს — იგონებს გ. გაგუა.

ფოთელთა გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი კაკო ყალიჩავა იყო, ბორია პაიჭაძე და ვალოდია ბერძენიშვილი ინსაიდებად თამაშობდნენ, გვაჩი ჯორბენაძე — ნახევარმცველად, აი გრიშა გაგუა კი მცველი გახლდათ.

ფოთში დაბრუნებისას გ. გაგუა ადგილობრივი „ვოდნიკის“ გუნდში აიყვანეს, სადაც კაპიტნად აირჩიეს. სულ ერთი სეზონი ითამაშა აქ გრიშამ, მერე ქალაქის ნაკრებში გამოდიოდა, სანამ 1934 წელს საშა ელიავა თბილისში წამოიყვანდა, სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარებინა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე და, ცხადია, ამ სასწავლებლის გუნდშიც მიიყვანა. ს. ელიავა იმ დროს უკვე „დინამოში“ თამაშობდა და პარალელურად უნივერსიტეტელთა ღირსებასაც იცავდა. 1935 წელს დინამოელთაგან ჩამოყალიბდა, ეგრეთ წოდებული, ოსტატთა საჩვენებელი გუნდი, რომელსაც მომავალ სეზონში მონაწილეობა უნდა მიეღო „ბ“ კლასის საკავშირო გათამაშებაში. ფოთელ ახალბედებს — გ. გაგუას, ვ. ბერძენიშვილს, ვ. კინწურაშვილს „დინამოში“ დახვდათ გამოცდილი ოსტატები — შოთა შავგულიძე, ალექსანდრ დოროხოვი, მიხაილ მინაევი, ედუარდ ნიკოლაიშვილი, კოლია ანიკინი, ბუკა და მიხეილ ბერძენიშვილები. ოდნავ მოგვიანებით თეთრ-ცისფერ მაისურებიანთა კოლექტივში ზიი-ს (ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი) გუნდიდან მოვიდნენ ბორის პაიჭაძე და გვაჩი ჯორბენაძე. სხვა გუნდებიდანაც ბევრი ნიჭიერი მოთამაშე გადმოიყვანეს „დინამოში“. პრინციპი ასეთი იყო: რამდენიმე საშუალო გუნდის ნაცვლად სჯობს საქართველოში ერთი კარგი გუნდი გვყავდეს! დინამოელებმა ამხანაგური მატჩები გამართეს სხვა ქალაქების გუნდებთან, მათ შორის მოსკოვის „დინამოსთან“ ძველ სტადიონზე, პლეხანოვზე.

— აი სწორედ მაშინ შევხვდი პირველად ცნობილ ფეხბურთელს, მოგვიანებით კი ასეთსავე მწვრთნელს მიხაილ იაკუშინს — განაგრძობს გ. გაგუა — ძალზე ტექნიკური, საზრიანი მოთამაშე იყო, ცოტა სისწრაფე აკლდა ამ მაღალი ტანის ოსტატს. სწორედ ამით ვისარგებლე და რამდენჯერმე უკან მოვიტოვე იგი. მერე „მიხეი“ ამბობდა, რომ ყველაზე მეტად გაგუას წინააღმდეგ მეჯავრებაო თამაში!

სხვათა შორის, მ. იაკუშინსა და გ. გაგუას 1937 წლის მატჩში ერთ გუნდში უნდა ეთამაშათ ბასკების წინააღმდეგ. გაგუა შავგულიძესთან და დოროხოვთან ერთად შეკრებაზე მიიწვიეს „დინამოს“ ნაკრებში. გუნდი ემზადებოდა საკუთარ ბაზაზე მიტიშჩიში, მაგრამ გაგუას ბასკებთან მხოლოდ მშობლიურ თბილისში მოუხდა თამაში — ჩვენი „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ გ. გაგუას მეორედაც არ გაუმართლა, როდესაც მ. იაკუშინმა იგი სსრკ ნაკრებში (მოსკოვის „დინამოს“ ბაზაზე) მიიწვია საფრანგეთში ტურნეს გასამართავად. ისევ მიტიშჩი, ისევ საგანგებო მზადება, მაგრამ... ტურნე რატომღაც არ შედგა.

სწრაფი, უშიშარი, დაუდგრომელი, ფიზიკურად ძლიერი და გამძლე ფეხბურთელი იყო გრიგოლ გაგუა. ჩვენს გუნდში იგი ერთნაირი წარმატებით გამოდიოდა, დაცვაშიც თამაშობდა და ნახევარდაცვაშიც (მთელი 11 სეზონი, სანამ არ დაშავდა). არც ერთ ადგილს არ თაკილობდა, თუ ეს მშობლიური „დინამოსთვის“ იყო საჭირო.



სხვადასხვა დროს გ. გაგუა ჩვენი გუნდის კაპიტანიც გახლდათ და უფროსი მწვრთნელიც (1958 წელს). აი მხოლოდ ის არის გულდასაწყვეტი, რომ როგორც სხვა მისი თანაგუნდელები, გაგუაც ვერ ეღირსა ჩემპიონობას. მართალია, კარგი გუნდები გამოდიოდნენ იმხანად დიდ ფეხბურთში — მოსკოვის „დინამო“, ცდკა, „ტორპედო“, „სპარტაკი“, მაგრამ სხვებზე ნაკლები არც ჩვენები იყვნენ. საქმე ისაა, რომ ქართველ ფეხბურთელებს ჩემპიონობამდე მუდამ „ერთი ნაბიჯი“ აკლდათ — „თავიანთ სიტყვას“ არბიტრებიც ამბობდნენ. როგორც წესი, გადამწყვეტ მატჩებზე მოსკოვის გუნდებთან (ჩემპიონატი იყო ეს თუ თასის გათამაშება) რატომღაც... მოსკოველ მსაჯებს ნიშნავდნენ. როგორც ძველი ფეხბურთელები ამბობდნენ, ათი თავით მაღლა უნდა მდგარიყავი მეტოქეზე, ორი ქულა რომ წამოგვეღო მოსკოვიდან. საინტერესოა, რომ მსაჯები მუდამ სწყალობდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და „სპარტაკს“. აი ცდკა კი, წარმოიდგინეთ, ნაკლებად უყვარდათ და მის მატჩებს თბილისელებთან მეტწილად ობიექტურად სჯიდნენ. იქნებ ამიტომაც ვუგებდით ასე ხშირად არმიელებს თბილისშიც და მოსკოვშიც!



მწვრთნელებში გაგუას აშკარად გაუღიმა ბედმა — ჟიულ ლიმბეკი, მიხაილ ბუტუსოვი, ანდრო ჟორდანია, ერთი მეორეზე უკეთესი სპეციალისტები იყვნენ, ახალგაზრდობაში სამივე საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ. ა. ჟორდანია მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, პირშიმთქმელი პიროვნება იყო, მ. ბუტუსოვი ზუსტი, საზრიანი პედაგოგი გახლდათ, რაც შეეხება ფრანგ ჟ. ლიმბეკს, მან მართლაც ბევრი გააკეთა თბილისის „დინამოსთვის“ და, ასე განსაჯეთ, მთელი ქართული ფეხბურთისთვის. იგი პირდაპირ შეყვარებული იყო ჩვენს ფეხბურთელებზე. სწორედ ლიმბეკმა „დაუყენა“ დარტყმა ბ. პაიჭაძესა და მ. ბერძენიშვილს, ბურთისართმევა დაუხვეწა გ. გაგუას; საჯარიმოს გარედან ორივე ფეხით გაუთავებლად ურტყამდა ა. დოროხოვის კარში. ტანადი, ლამაზი, იშვიათი კულტურის კაცი იყო. სხვათა შორის, ჟ. ლიმბეკს ძალიან მოსწონდა გ. გაგუას უშიშარი, ჯიგრიანი თამაში („შენ რომ საზღვარგარეთ იყო, უთუოდ პროფესიონალებში ითამაშებდიო!“).

აკი გ. გაგუაც მუდამ თბილად იგონებს ფეხბურთის ლეგენდარულ სპეციალისტს, რომლისგანაც ბევრი რამ ისწავლა, არა მარტო როგორც ფეხბურთელმა („ტყავის ბურთის ოსტატებად გამოგვჩარხა“), არამედ მომავალმა მწვრთნელმაც. იქნებ ამიტომაც იყო თბილისის „ნორჩი დინამოელის“ გუნდი, რომელსაც გ. გაგუა მთელი შვიდი წელიწადი ავარჯიშებდა, მრავალი საკავშირო ტურნირის გამარჯვებული, აკი ამიტომაც აზიარა დიდ ფეხბურთს ამ შესანიშნავმა მწვრთნელმა ტყავის ბურთის ისეთი ოსტატები, როგორიც იყვნენ ბორის სიჭინავა, გივი ხოჭოლავა, თენგიზ მელაშვილი, ანზორ კავაზაშვილი, ვლადიმერ ქლივიძე და სხვანი.

აი უკვე ორი ათეული წელიწადია გ. გაგუა მშობლიურ სტადიონზე მუშაობს, დღეს რომ მისი ლეგენდარული თანაგუნდელის და ძველი ფოთელი მეგობრის ბორის პაიჭაძის სახელს ატარებს. „დინამოს“ ოსტატთა კლუბის გამგე — ასეთია ოფიციალურად გ. გაგუას თანამდებობა, მაგრამ ეს ოფიციალურად. ისე კი, ვინ იცის, რამდენ რამეს ეკითხებიან ძველ ფეხბურთელს თანამშრომლები, ახალგაზრდა კოლეგები, დამწყები მოთამაშეები...

ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ: ბატონი გრიშა ყოველდღე ფეხით დადის სამუშაოზე ვაკის პარკიდან „დინამოს“ სტადიონამდე და უკან. გზას 45 წუთს — 1 საათს ანდომებს. მანძილი დაახლოებით 7 კილომეტრია. ამას ორზე გავამრავლებთ, კარგა ბლომად უწევს სიარული. 80 წელს მიღწეულმა ვეტერანმა, რომელსაც გულიც ერჩის და მუხლიც, ამას წინათ, 30-30-წუთიანი ორი ტაიმი ითამაშა დინამოელთა ბაზაზე, დიღომში — ვეტერანთა ნაკრებში გამოდიოდა და ძველებური შემართებით დაიცვა თავისი გუნდის კარის მისადგომები, ორჯერ თუ სამჯერ თავადაც მწვავედ შეუტია მეტოქის კარს. ერთი სიტყვით, მთელი თამაში არ გაჩერებულა...

— ცოტა საზარდულმა შემაწუხა, ეტყობა ძველმა ტრავმამ იჩინა თავი, თორემ ისე, არა უშავს რა — კიდევ ორ ტაიმს ვითამაშებდი! — ეღიმება გ. გაგუას.

ჩვენი თხრობა ამ შესანიშნავ ფეხბურთელზე გვინდა ერთობ არასაფეხბურთო ნოტაზე დავამთავროთ, თორემ გ. გაგუას პორტრეტი სრული არ იქნებოდა: მოგეხსენებათ, მას ძალიან უყვარს პოეზია, ცოტ-ცოტა ლექსებს თავადაც წერს და მეგობრებში თუ სხვადასხვა შეკრებაზე ხშირად კითხულობს. უსასრულოდ უყვარს ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“. იგი მას იუმორში კითხულობს ქართულ, რუსულ, მეგრულ და აფხაზურ ენებზე. ალბათ, ბევრს ისიც ახსოვს თუ ამ რამდენიმე წლის წინათ „ტრიო“ — ბორის პაიჭაძე, გრიგოლ გაგუა, გიორგი ანთაძე — როგორი წარმატებით გამოვიდა ფილარმონიის დიდ სცენაზე კოტე მახარაძის იუბილეზე. არავინ ველოდით ასეთ ამბავს — მაყურებელი, როგორც იტყვიან, პირდაპირ დაწყდა სიცილით. პარტერის პირველ რიგში ვერიკო ანჯაფარიძე იჯდა. ქართული სცენის კორიფე წამოდგა სკამიდან, მაგრად გადაეხვია და გადაკოცნა თითოეული, მერე სიცილისაგან ცრემლმორეულმა ესღა მოახერხა ეთქვა: „თქვენ, ბიძია, მარტო დიდებული ფეხბურთელები კი არ ყოფილხართ!“

ოთარ ნოზაძე

**სურათებზე: გრიგოლ გაგუას თავისი გუნდი გამოჰყავს მოსკოვის „დინამოსთან“ სასპარეზოდ; მხატვარ ი. გუროს მეგობრული შარჟი გ. გაგუაზე.**

**ავტორის არქივიდან**

## ველოსპორტის ამბები

● **ველოსიპედისტთა** მსოფლიო ჩემპიონატისთვის ინტენსიური მზადება დაიწყო „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის ჩემპიონმა, ესპანელმა მიგელ ინდურაინმა. ვინაიდან სეზონის ეს უმთავრესი ასპარეზობა მთიან კოლუმბიაში ეწყობა (სტარტი 8 ოქტომბერს), ინდურაინი თავისი ამალით საწვრთნელ ვარჯიშებზეა ასევე მაღალმთიან კოლორადოში. დონ მიგელის (ესპანეთში ასე ეძახიან ინდურაინს) ამალაში შედის მისი ძმა პრუდენსიო და „ბანესტოს“ გუნდის კიდევ ოთხი ველოსიპედისტი, მათ შორის ამერიკელი ენდი ჰემპსტენი, რომელიც კოლუმბიაში აშშ-ს ღირსებას დაიცავს.

● **იტალიის** ველოსპორტის ფედერაციის განცხადებით მსოფლიოს ექსჩემპიონი და მსოფლიო თასის ყოფილი მფლობელი მაურიციო ფონდრიესტი კოლუმბიაში ჯგუფური რბოლის ნაცვლად ძალებს ცდის ინდივიდუალურ რბოლაში. მასთან ერთად იტალიის ნაკრების ღირსებას დაიცავს შარშანდელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ამ სახეობაში ანდრეა კიუარიტო.

● **სამთო** ეტაპების ერთ-ერთი აღიარებული სპეციალისტი კოლუმბიელი ალვარო მეხია ვერ იასპარეზებს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც მის სამშობლოში გაიმართება. საქმე ის გახლავთ, რომ ესპანური „ვუელტას“ ერთ-ერთ ეტაპზე მან საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო (ლავიწის ძვლის მოტეხილობა), რომელსაც ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება. სპეციალისტთა განცხადებით, მეხია ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. ტრავმა, რომელიც კოლუმბიელმა სპორტსმენმა მიიღო, ველოსიპედისტისთვის ტიპიურია და პერსპექტივაში საშიშროებას არ წარმოადგენს.

● **ბრიტანეთის** ეროვნული ნაკრების ღირსებას კოლუმბიის მსოფლიო ჩემპიონატში დაიცავს ინგლისურ-ამერიკული წარმოშობის იტალიელი მაქს შინდერი. მასთან ერთად გუნდში იქნება მეორე „ნორმალური“ იტალიელი ფლავიო ვანცელი. ორივე ველოსიპედისტი გამოდის „მოტოროლაში“, გუნდში, რომლის ლიდერად მსოფლიოს ექსჩემპიონი, ამერიკელი ლენს არმსტრონგი ითვლება.

● **საფრანგეთის** ეროვნული ნაკრების ლიდერი მსოფლიოს ჩემპიონატზე იქნება „ტურ დე ფრანსის“ ორგზის „სამთო მეფე“ რიშარ ვირანკი. ველოსპორტის ფედერაციამ უკვე შეარჩია ნაკრების თერთმეტი მონაწილე. საერთო გაკვირვებას იწვევს, რომ სიაში შეყვანილი არ არიან არც ლორან ჟალაბერი და არც შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი ლუკ ლებლანი.

## რა ხდება ქვეყანაზე

● **სამთო-სათხილამურო** სპორტში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი გახლავთ შვედი ინგემარ სტენმარკი, რომელსაც მოპოვებული აქვს ოლიმპიური ჩემპიონის სამი და მსოფლიო ჩემპიონის ოთხი მედალი. ამას გარდა, მრავალგზის გაუმარჯვია მსოფლიოს თასის გათამაშებებში. სახელოვანი მოთხილამურის წარმატებათა უკვდავსაყოფად მადლიერმა თანამემამულეებმა სტენმარკის მშობლიურ სოფელში ტარნაბში დადგეს ძეგლი, რომლის საპროექტო ღირებულება 900 ათასი შვედური კრონი იყო (126 ათასი დოლარი). ამიერიდან ქვეყნის ყველა საპატიო სტუმარი ტარნაბშიც ჩაჰყავთ.

● **მსოფლიოს** ჩემპიონი კრივში იბფ-ს ვერსიით (50,8 კგ) დენი რომერო ალბათ დიდხანს ველარ გამოვა რინგზე. ერთ-ერთი ბრძოლის დროს (ვილი სალასართან) სერიოზულად დაიზიანა თვალი. რომერო მაშინვე ჰოსპიტალში მოათავსეს. ექიმები ცდილობენ, რომ ამ დაზიანებას არ მოჰყვეს სერიოზული შედეგები: როდის შეძლებს (ან შეძლებს კი საერთოდ?) მოკრივე რინგზე გამოსვლას, ჯერ არავინ იცის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 27 ოქტომბრისთვის დანიშნული მატჩი ტუნისელ ჯენ ჯედოუსთან არ შედგება.

● **ერთ-ერთი** ყველაზე პერსპექტიული რუსი კალათბურთელი, 20 წლის ცენტრალური თავდამსხმელი ანატოლი უუბენკო (215 სმ) ამიერიდან საბერძნეთის „ოლიმპიაკოსში“ ითამაშებს. შარშან „ოლიმპიაკოსმა“ უუბენკო ათენის „სპორტინგს“ ასესხა, წლეულს კი დაიბრუნა იგი. უუბენკო თავის ახალ კლუბს პრობლემებს არ შეუქმნის უცხოელთა ლიმიტის გამო, ვინაიდან წელიწადნახევარია, რაც საბერძნეთის მოქალაქეობა მიიღო.

● **აშშ-ს** ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში ასპარეზობის შემდეგ ერთმა არგენტინელმა კინორეჟისორმა გადასაღებად მიიწვია გაბრიელა საბატინი. ჩოგბურთელს სთავაზობენ ორ ეპიზოდურ როლს მუსიკალურ ფილმში. როგორც სპეციალისტები ამბობენ, 25 წლის საბატინის საკმაოდ დამაჯერებლად და თავისუფლად უჭირავს თავი კინოკამერის წინ.

● **სენსაციური** მარცხი განიცადა მსოფლიო სპრინტის ლიდერმა კანადელმა დონოვან ბეილიმ დელიში (ინდოეთი) გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე. 100 მეტრზე რბენა მან წააგო ნაკლებადცნობილ იამაიკელ მაიკლ გრინთან. გამარჯვებულმა აჩვენა 10,13, ბეილიმ — 10,20.

● **პოლონეთის** პრესის აღიარებით, გამოჩნდა ნიჭიერი ჩოგბურთელი გოგონა, რომელიც სულ მალე აალაპარაკებს სპორტულ სამყაროს. ეს გახლავთ 16 წლის მაგდალენა გრუიბოვსკა (მსოფლიო კლასიფიკაციით 239-ე ადგილი), რომელმაც, ამას წინათ ვარშავაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე დაამარცხა საკმაოდ ძლიერი გერმანელი, 26 წლის საბინე ჰაკი.

● **„ფორმულა-1-ში“** მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი და წლევანდელი გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი, გერმანელი მიჰაელ შუმახერი დასახელებულია იუნესკოს საერთაშორისო ელჩად სპორტისა და განათლების დარგში. ამასთან დაკავშირებით პარიზში, იუნესკოს სასახლეში მოეწყო საზეიმო პრეზენტაცია. „ბანესტოს“ პილოტმა ეს გადაწყვეტილება უდიდეს პატივად ჩათვალა და იუნესკოს ბავშვთა ფონდს საჩუქრად 170 ათასი დოლარი გადასცა.

● **ლიონის** (საფრანგეთი) ელიტარულ კლინიკაში „ემილია დე ვიალარში“ პროფესორმა პიერ შამბატმა ურთულესი ოპერაცია გაუკეთა მუხლზე ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს სამთო-სათხილამურო სპორტში, იტალიელ დებორა კომპანიონის. საფრანგეთში სპორტსმენი ჩააფრინეს ჩილედან, სადაც იგი ვარჯიშობდა.

● **1987 წლამდე** „ფორმულა-1-ის“ ერთ-ერთი ეტაპი ეწყობოდა შტრიის (ავსტრია) მიწაზე ზელცვეგის ავტოდრომის მიდამოებში. როგორც აღნიშნული პროვინციის მთავრობის წარმომადგენელმა გერჰარდ ჰირშმანმა განაცხადა, ჯერ არავითარი საშუალება არ არის, რომ განახლდეს ავსტრიის „გრან-პრი“, მიზეზად მთავრობის წარმომადგენელმა ფინანსების უქონლობა დაასახელა.

● **ტოკიოში** გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი, რომლიდანაც შეიძლება ოთხი შედეგის გამოყოფა: 100 მ რბენა — ლინფორდ კრისტი (დიდი ბრიტანეთი) — 10,00; სიმაღლეზე ხტომა — ხავიერ სოტომაიორი (კუბა) — 2,30 მ; სიგრძეზე ხტომა — ივან პედროსო (კუბა) — 8,59 მ და ქალთა სიმაღლეზე ხტომა — ინგა ბაბაკოვა (უკრაინა) — 2,05 მ.

● **„მონრეალ კანადიენსის“** ჰოკეისტთა გუნდის მცველი ლერი რობინსონი, რომელიც მთელი 20 წლის მანძილზე ბრწყინავდა ნჰლ-ში, ერთხმად აირჩიეს „ჰოკეის დიდების დარბაზის“ წევრად. რობინსონმა თამაშს თავი დაანება 1992 წელს. შარშან იყო „ნიუ-ჯერსის“ მეორე მწვრთნელი, გუნდისა, რომელმაც „სტენლის თასი“ მოიგო. ორჯერ იყო აღიარებული ნჰლ-ს საუკეთესო მცველად, 8-ჯერ მონაწილეობდა „ყველა ვარსკვლავის“ მატჩებში. ერთხელ მისცეს პრიზი, როგორც „პლეი-ოფის“ ყველაზე საჭირო მოთამაშეს.

რა ხდება ქვეყანაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბეკენბაუერი

# ფრანც ბეკენბაუერის იუბილე

გამოჩენილ გერმანელ ფეხბურთელს ფრანც ბეკენბაუერს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, სხვა საზეიმო ღონისძიებათა გარდა მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა მეტად საინტერესო საერთაშორისო მატჩი გერმანიისა და ე.წ. დანარჩენი სამყაროს ვეტერანთა გუნდებს შორის. ორივე მეტოქის შემადგენლობანი პირადად იუბილარმა დაასახელა.

გერმანია: მაიერი, ფოგთსი, აუგენტალერი, ბეკენბაუერი, ბრიგელი, ნეტცერი, ბრაიტნერი, ოვერატი, ზეელერი, რუმენიგე. შემცვლელები: გრაბოვსკი, შუმახერი, კულმანი, კ.-ხ. ფორსტერი, შვარცენბეკი, ბ. ფერსტერი, შტილიკე, ჰ. მიულერი, ფიშერი, ჰოლცენბაინი, დერნერი, ბონჰოფი, მაგატი, ტილკოვსკი, შულცი, ვებერი, კალტცი, დიტცი, ჰალერი; მსოფლიოს ნაკრები: პფაფი (ბელგია), ნეესკენსი (ჰოლანდია), მ. ოლსენი (დანია), კარლოს ალბერტო (ბრაზილია), ლერბიუ (დანია), ბ. ჩარლტონი (ინგლისი), ზიკო (ბრაზილია), პლატინი (საფრანგეთი), კიგანი (ინგლისი), მილა (კამერუნი), ეისებიო (პორტუგალია). შემცვლელები: გალიეგო (ესპანეთი), ბულიანი (იუგოსლავია), კრანკლი, პროხაზკა (ორივე — ავსტრია), ბეკენბაუერი (გერმანია), კროი, შტრაიხი (ყოფილი გდრ), დალგლიში (ინგლისი), ლატო (პოლონეთი), კამამოტო (იაპონია). მწვრთნელები — დი სტეფანო, პუშკაში, მასოპუსტი.

როგორც ხედავთ, ფ. ბეკენბაუერი ორივე გუნდშია მოხსენიებული, მართლაც, მან ორივე მეტოქის მხარეს ითამაშა თანაბრად. ზეიმს ჩრდილად დაემჩნა პელეს არყოფნა, ბრაზილიის მინისტრმა, ვერ შეძლო მიუნხენში ჩასვლა და მხოლოდ გულთბილი დეპეშით დაკმაყოფილდა.

ფეხბურთელთა გარდა ფ. ბეკენბაუერმა სხვა 1400 საპატიო სტუმარი მიიწვია, მათ მეფური შეხვედრა მოუწყვეს, გულშემატკივრები ხელით ატარებდნენ „ფრანც კაიზერს“, დღესასწაულმა დილამდე გასტანა.

თვით მატჩი ფრედ დამთავრდა, საკმაოდ უცნაური ანგარიშით 8-8. ბურთები გაიტანეს გ. მიულერმა, ზიკომ (2), ზეელერმა, რუმენიგემ (2), გალიეგომ, მილამ, შტილიკემ, კრანკლმა, ლატომ, დალგლიშმა, ბეკენბაუერმა, ჰალერმა, დერნერმა, კალტცმა.

ფრე, ეტყობა, არავის სურდა, ამიტომაც დაინიშნა დამატებითი 11-მეტრიანები. აქ კი მსოფლიოს ნაკრებმა იმარჯვა — 4-2.

# «მისი თამაში სიხარულს მგვრის»

**ფრანც ბეკენბაუერის ეს სიტყვები გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთ ვარსკვლავ თომას ჰესლერზეა ნათქვამი.**

დიდი სისწრაფისა და ამტანობისათვის ჰესლერს გულშემატკივრები „ნურმის“ ეძახიან. „სამი წლით ჩემზე უფროს ძმას ანდეასს მადარებენ, რომელიც ფეხბურთში დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ სისხლის გათეთრებით გარდაიცვალა. აი, იზრდება უმცროსი ძმა საშა, იგი აპირებს პროფესიონალ ფეხბურთელობას და, ვფიქრობ, ნამდვილად მაჯობებს“.

თომას ჰესლერი დაიბადა დასავლეთ ბერლინში 1966 წლის 30 მაისს, ტანმორჩილია (167 სმ) და მსუბუქი (60 კგ), მამამისი ასევე ფეხბურთელი იყო და სამოყვარულო ლიგაში თამაშობდა. თომასმა თამაში 16 წლისამ დაიწყო ბერლინის „მეტეორ 06“-ში, მერე „რაინიკედორფერ ფუქსენში“ გამოდიოდა, შემდეგ კი ცნობილმა მწვრთნელმა კრისტოფორ დაუმმა „ფკ კიოლნში“ მიიწვია. „ნურმიმ“ სეულის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, 1990 წლიდან კი პირველ ნაკრებში დაიწყო თამაში.

უკვე 1990 წელს, როცა ჰესლერს ეროვნულ ნაკრებში პირველი მატჩები ჰქონდა, გერმანულმა პრესამ ახალგაზრდა ოსტატი „მსოფლიო კლასის ფეხბურთელებს“ მიაკუთვნა. რაც შეეხება „კიოლნს“, აქ, ჰესლერის აღიარებით, ყოველთვის უწყობდნენ ხელს უფროსი კოლეგები. „ნურმის“ ძალიან უყვარს თავისი უფროსი მეგობარი პიერ ლიტბარსკი: „ჩვენ რომ ერთმანეთს დავუახლოვდით, ეროვნულ ნაკრებში მას 50 მატჩი ჰქონდა ნათამაშევი და ეს მრავალნაცადი პროფესიონალი ბევრ საიდუმლოებას მიზიარებდა, რომლებიც ასაკის გამო ჩემთვის მიუწვდომელი იყო. როცა „ლიტი“ ჩემს მხარდამხარ თამაშობდა, სულ სხვანაირად, ლაღად ვგრძნობდი თავს. უნდა ითქვას, რომ ნაკრების ადრინდელი მწვრთნელი ფ. ბეკენბაუერი „ლიტისთან“ ყოველთვის მართალი არ იყო. მე უფრო კრისტოფერ დაუმისა მჯერა, რომელიც ლიტბარსკის მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების რიცხვს მიაკუთვნებს“.

ჰესლერმა ჩინებულად ითამაშა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში, სადაც 5 მატჩში მიიღო მონაწილეობა. მისი დაუღალაობა, შემართება, შეუპოვრობა პირდაპირ საარაკოდ იქცა, მას ზოგჯერ „ჯიბის ნეტცერსაც“ კი უწოდებდნენ, მიაჩნდათ, რომ იგი არანაკლებ სასარგებლო იყო ნაკრებისათვის, ვიდრე თვით სახელგანთქმული გიუნტერ ნეტცერი. ჰესლერი ყველგან ასწრებდა, ხშირად ეხმარებოდა მცველებს, ხოლო მისი „საფირმო“ გარღვევები მარჯვენა ფრთიდან ყველასათვის მეტად სახიფათო იყო.

ევროპის 1992 წლის ჩემპიონატში გერმანელთა აშკარად უფერული თამაშის ფონზე ერთი ფეხბურთელის გამორჩევა მაინც შეიძლებოდა. ეს „ნურმი“ იყო. გავიდა კიდევ ორი წელი, აშშ-ს მსოფლიო ჩემპიონატში გერმანელებს ხან აციებდათ და ხან აცხელებდათ. ასეთ ვითარებაში თვით მეტისმეტად მყარ ჰესლერსაც კი აერია გზაკვალი.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გერმანიის ნაკრების შემადგენლობა გაახალისდა. ჰესლერი ევროპის მორიგ ჩემპიონატში ჩაება და როგორც მწვრთნელი ბ. ფოგთსი მიიჩნევს, მისი საბრძოლო მზადყოფნა ამჯერად კარგია. ზამერი, მიოლერი და „ნურმი“ ის ფეხბურთელებია, რომლებიც გუნდის ღერძს შეადგენენ, ამასთან თუ ზამერი უფრო დაცვით ოპერაციებში მონაწილეობს, ჰესლერი კვლავინდებურად საიერიშოდ არის შემართული.

ბივი გამრეკელი



ჰესლერი (ფოტოზე შუაში) გარღვევაზე

ჩაუქრობელი ვარსკვლავები

# ჯანი რივერა — იტალიური ფეხბურთის „ოქროს ბიჭი“



ჯანი რივერა

იტალიელი ჯანი რივერას ბევრი ღირსება ჰქონდა, მაგრამ სპეციალისტები განსაკუთრებით მაინც ერთს უსვამდნენ ხაზს — ლამაზ თამაშს.

ჯანი რივერა 1943 წლის 18 აგვისტოს დაიბადა ალესანდრიაში, 16 წლამდე რაიმე დიდი გატაცება არა ჰქონია, მაგრამ შემდეგ ფეხბურთმა გადასძლია, საშუალო სკოლა დატოვა და „სერია ბ“-ში მონაწილე „ალესანდრიის“ სკოლა-ინტერნატში გადავიდა, ფეხბურთიც მისი სპეციალობა შეიქნა.

„— პირდაპირ უნდა ვთქვა, ჩემი ცხოვრება ბედნიერი გამოდგა, როცა იღბალმა სახელოვან ხუან სკიაფინოსთან დამაკავშირა. მან მასწავლა, რომ ფეხბურთი მარტო გოლის გატანა არ არის, ბევრი კარგი საქმე მინდვრის შუაგულშიც კეთდება. სკიაფინოს პირდაპირ ვაღმერთებ!“ — თქვა რივერამ.

„ალესანდრიაში“ ორი სეზონის შემდეგ 17 წლის რივერა „მილანში“ ჩაირიცხა. აქ სკიაფინოს გარდა, მას ექსბრაზილიელი ალტაფინის მხარდამხარაც მოუხდა თამაში. „მილანში“ ჯ. რივერა თავისი საფეხბურთო კარიერის ბოლომდე (1979 წ.) დარჩა, ახლა კი ამ კლუბის ვიცე-პრეზიდენტია.

პირველი დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, სადაც რივერამ მიიღო მონაწილეობა, ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი იყო. ინგლისის ქალაქ ნიუკასლში მასპინძელთა გუნდში ბობი ჩარლტონი და მური თამაშობდნენ, რივერას მხარდამხარ შემდგომში ცნობილი ოსტატები ბურგნიჩი და სალვადორე გამოდიოდნენ, იმავე 1960 წელს რომში ოლიმპიური თამაშები გაიმართა, იტალიელები მეოთხედფინალამდე მივიდნენ, სადაც იუგოსლავიელებთან ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ (1-1) ბრმა წილისყრამ ისინი შეჯიბრებას გამოთიშა.

„სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში (60 მატჩი, 14 გოლი) რივერა, რომელსაც სულ მალე იტალიური ფეხბურთის „ბამბინო დ'ორო“ („ოქროს ბიჭი“) დაარქვეს, 1962 წლის 13 მაისიდან გამოდიოდა. ამ დღეს მან ბრიუსელში ჩინებულად ითამაშა ბელგიელთა წინააღმდეგ (3-1), ეს მართლაც დაუვიწყარი მატჩი იყო: რივერა მარჯვენა შუამარბად თამაშობდა, ცენტრში — ჟოზე ალტაფინი, მარცხენა შუამარბი კი ექს-არგენტინელი ომარ სივორი იყო!

რივერა მსოფლიოს 1962, 1966, 1970 და 1974 წლების ჩემპიონატებში მონაწილეობდა, 1968 წელს კი — ევროპის ჩემპიონატში.

ჯანი რივერა არაერთხელ დაუსახელებიათ „ფრანს-ფუტბოლის“ პოპულარული ჯილდო „ოქროს ბურთის“ პრეტენდენტთა შორის. 1963 წელს, როცა „ოქროს ბურთი“ მეკარე ლევ იაშინს მიეკუთვნა, „ოქროს ბიჭი“ მეორე ადგილზე გამოვიდა, უკან ჩამოიტოვა ჯიმი გრივსი, დენის ლოუ და ეისებიო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჯანი რივერას დროც დადგა — 1969 წელს სწორედ იგი გახდა ევროპის „ოქროს ბურთის“ მფლობელი.

ბივი თორელი

## ახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატი

**1998 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატამდე, როგორც გამოითვალეს, დარჩა 1000 დღე. მისი გამართვის უფლება საფრანგეთმა 1992 წლის ივლისში მიიღო, მას შემდეგ ამ ქვეყანაში ინტენსიური მზადებაა გაჩაღებული: შეიქმნა ეროვნული საორგანიზაციო კომიტეტი, სახავენ უსაფრთხოების ღონისძიებებს, იხილავენ სატრანსპორტო კომუნიკაციათა, სტუმრების მიღება-დაბინავების, კავშირგაბმულობის, ჟურნალისტთა მუშაობის, სამედიცინო მომსახურებისა და სხვა საკითხებს. ორგკომიტეტში ამჟამად დაახლოებით 40 თანამშრომელია, მაგრამ მათი რიცხვი „პიკის საათისთვის“ ორასამდე გაიზრდება. წინასწარი სავარაუდო ბიუჯეტი 1,5 მილიარდ ფრანკს შეადგენს.**

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა ა.წ. 12 დეკემბერს მოეწყობა, თამაშები 1996 წლის მარტიდან 1997 წლის ნოემბრამდე გასტანს, ფინალურ ეტაპში მონაწილეობას მიიღებს 32 გუნდი, შეიქმნება 8 წინასწარი ჯგუფი, შემდგომ ეტაპზე ბრძოლას განაგრძობს 2-2 გამარჯვებული. მერვედფინალიდან მოყოლებული თუ შეხვედრა ფრედ დამთავრდა, დაინიშნება დამატებითი დრო, ამასთან, თუ ამ დროში რომელიმე გუნდმა ბურთი გაიტანა, თამაში მაშინვე წყდება, თუკი დამატებით 30 წუთში ბურთი საერთოდ არ გავიდა, დაინიშნება დამატებითი 11-მეტრიანები.**

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელს, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეს რომარიოს თავისი გუნდის „ფლამენგოს“ (რიო-დე-ჟანეირო) ვარჯიშის დროს უეცრად გული წაუვიდა და ძირს დაეცა. იგი სასწრაფოდ გააქანეს საავადმყოფოში, აქ გაიმართა კონსილიუმი, მაგრამ ექიმებმა საშიში ვერაფერი აღმოაჩინეს, რომარიოს ჯანმრთელი გული ჰქონია და ის შემთხვევაც წუთიერი ყოფილა.

მაგრამ აი, საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერის „პარი სენ-ჟერმენისა“ და ამ ქვეყნის ნაკრების მეკარის ბერნარ ლამას საქმე კარგად ვერ არის. მას ფეხი დაუზიანდა, საჭიროა საკმაო ხნის მკურნალობა.

● გერმანიის „კიოლნის“ მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს დანიელი სპეციალისტი მორტინ ოლსენი, მის ადგილზე დროებით დაინიშნა ნაკრების ყოფილი მოთამაშე შტეფან ენგელსი.

● ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე გაიმართა ინგლისისა და კოლუმბიის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა. საინტერესო თამაში ფრედ დამთავრდა — 0-0.

● იტალიის „პარმას“ კაპიტანი ლორენტო მინოტი ოპერაციის შედეგად ორი თვით გამოაკლდა გუნდის შემადგენლობას. მას მიემატა მცველი ფერნანდო კოუტუც, რომელმაც ახლახან მუხლი დაიზიანა.

● იტალიაში მხოლოდ ახლა დაასახელეს განვლილი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები, ასეთთა შორის არიან ჯანფრანკო ძოლა („პარმა“), მარკო სიმონე („მილანი“) და პაულო სოუზა („იუვენტუსი“).

● საფრანგეთის „ოლიმპიკის“ (მარსელი) მწვრთნელად დაინიშნა ჟერარ ჟოლი. ამ პოსტზე მან ანრი სტამბული შეცვალა.

● ინგლისის „არსენალის“ მწვრთნელს ჯორჯ გრემს 12 თვის დისკვალიფიკაცია გამოუტანეს მოთამაშეთა უკანონო ყიდვა-გაყიდვის გამო. აპელაციის შეტანას იგი არ აპირებს სამი მიზეზით: ჯერ ერთი, საიმისო თანხა არ გააჩნია ასოციაციას რომ ედავოს; მეორე —საკუთარი სიჯანსაღის იმედი არა აქვს, მესამეც — ერთი წლის დასვენება მას დიდად დაეხმარება ჯანმრთელობის გამაგრების საქმეში.

● დიეგო მარადონამ განაცხადა, რომ ბუენოს-აირესის „ბოკა ხუნიორსთან“ კონტრაქტის დამთავრების შემდეგ (1997 წლის დეკემბერი) გადასახლდება კუბაში, სადაც მას ფიდელ კასტრო ეპატიჟება. რატომ? ჟურნალისტთა ამ შეკითხვაზე მარადონამ უპასუხა: „აქ, არგენტინაში, ცუდად ვგრძნობ თავს, ყველგან პირმოთნეობა და სისაძაგლე სუფევს“

● სამხრეთ ამერიკის სუპერთასის წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობს 17 კლუბი, ისინი, ვინც წარსულ წლებში ფლობდა ამ პრიზს. პირველ შეხვედრათა შედეგები: „სან-პაულუ“ (ბრაზილია) — „ბოკა ხუნიორსი“ (არგენტინა) 1-0, „ინდეპენდიენტე“ (არგენტინა) — „სანტოსი“ (ბრაზილია) 1-1, „ნასიონალი“ (ურუგვაი) — „ესტუდიანტესი“ (არგენტინა) 4-0, „კრუზეირო“ (ბრაზილია) — „კოლო-კოლო“ (ჩილე) 1-0.

● დორტმუნდის „ბორუსიის“ ფეხბურთელი იურგენ კოლერი ამას წინათ გერმანიის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში მინდვრიდან გააძევეს იმის გამო, რომ თმებში სწვდა ერთ-ერთ მეტოქეს. სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა მომხდარ ინციდენტზე და არ დასაჯა ფეხბურთელი. კომისიის აზრით ი. კოლერი ამას ვერ გააკეთებდა იმ მიზეზიით, რომ მეტოქე მოთამაშეს... ძალზე მოკლედ აქვს თმები შეკრეჭილი.

● გერმანიაში ფრანც ბეკენბაუერის იუბილეს შემდეგ ზეიმით აღინიშნა ცნობილი მწვრთნელის ჰელმუტ შიონის 80 წლისთავი. იგი 12 წელი სათავეში ედგა ამ ქვეყნის ნაკრებს, ამ პერიოდში გერმანელებმა მოიპოვეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა და ვიცე-ჩემპიონობა, მიაღწიეს დიდ საერთაშორისო აღიარებას. ჰ. შიონი ხანდაზმული ასაკის გამო ფეხბურთს ჩამოცილებულია, ფ. ბეკენბაუერისგან განსხვავებით თავისი იუბილე მან მხოლოდ ვიწრო საოჯახო წრეში აღნიშნა.

● ევროპის ახლანდელი ჩემპიონის დანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე 1996 წლის 1 ივლისიდან იმუშავებს შვედი სპეციალისტი ბუ იუჰანსონი, რომელიც სხვადასხვა წლებში სათავეში ედგა შვეციის, ნორვეგიის, ფინეთის, ისლანდიის, დანიის საკლუბო და ეროვნულ ნაკრებ გუნდებს. იგი შეცვლის რიჩარდ მელერ-ნილსენს.

* * *

**ავტოკატასტროფაში დაიღუპა განთქმული ბრაზილიელი ნახევარმცველი, სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე დირსეუ ჟოზე გიმარიში (1974, 1978, 1982 წლები), რომელიც საფეხბურთო სარბიელზე დირსეუს სახელით იყო ცნობილი. 43 წლის ფეხბურთელი შემხვედრ მანქანას შეეჯახა და ადგილზევე გარდაიცვალა.**

**სამწუხარო ცნობა მოვიდა შვეციიდან: 73 წლისა გარდაიცვალა ამ ქვეყნის 40-50-იანი წლების ერთ-ერთი გამოჩენილი ფეხბურთელი, ეროვნული ნაკრების წევრი, ოლიმპიური ჩემპიონი, იტალიის „მილანისა“ და „რომას“ ლეგიონერი ჰუნარ ნორდალი. შვეციის ნაკრების თავდასხმის სამეული ჰუნარ გრენი-ჰუნარ ნორდალი-ნილს ლაიდჰოლმი ერთ დროს ჭუხდა საერთაშორისო ფეხბურთში.**

**ჰ. ნორდალს უთამაშია მსოფლიოსა და ევროპის ნაკრებ გუნდებში. ბოლო ხანებში იგი სარდინიაში მუშაობდა ექსკურსიამძღოლად, იქვე გარდაიცვალა ინფარქტით.**

# დიეგო მარადონა — ასოციაციის ლიდერი

ამას წინათ საფრანგეთის დედაქალაქში ჩავიდა არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა, აქ მისი მეთაურობით ოფიციალურად შეიქმნა პროფესიონალ ფეხბურთელთა საერთაშორისო ასოციაცია, რომელმაც უნდა დაიცვას მოთამაშეთა უფლებები, უხელმძღვანელოს და კონტროლი გაუწიოს მათ.

ასოციაციის შექმნაში მონაწილეობდნენ ცნობილი ფეხბურთელები ერიკ კანტონა, ლორან ბლანი, ჯანლუკა ვიალი, ჯანფერფრანკო ძოლა, რაი, თომას ბროლინი, მიშელ პრიუდომი, მიქაელ რუმენიგე და სხვანი.

დ. მარადონას განცხადებით ახალი ასოციაციის შექმნა მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს პროფესიონალ ფეხბურთელებს, ამ უკანასკნელთ საშუალება მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო საფეხბურთო პრობლემების გადაწყვეტაში, აქტიურად ითანამშრომლონ ფიფას მუშაკებთან ერთად.

სხვათა შორის, პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის შექმნის იდეა ადრეც იყო წამოჭრილი, კერძოდ, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს. მოთამაშეები მაშინ მოითხოვდნენ მატჩები გამართულიყო არა დღისით, 30-გრადუსიან სიცხეში, არამედ მოგვიანებით.

## ფეხბურთი

### კონფლიქტი კონფლიქტს მოსდევს

● რუსეთის ფეხბურთში კონფლიქტები არ წყდება, ჩემპიონატის ტური ისე არ გავა, უცნაური რამ რომ არ მოხდეს. ასე, მაგალითად, ნიჟნი ნოვგოროდის გუნდში სათამაშოდ ჩასულ ბრაზილიელ ლეგიონერებს მარიო დოს სანტოს ჟუნიორს და ლუის ანდრე და სილვას არ მოეწონათ იქაური სიტუაცია, მათ მხარი აუბა ლოკომოტიველმა მაქსიმ პუტილინმაც და სამივე შანხაის გაემგზავრა ჩინეთის ერთ-ერთ რომელიმე კლუბთან ხელშეკრულების დასადებად. გუნდიდან წასვლის თაობაზე განცხადება დაწერა სოჭის „ჟემჩუჟინის“ მთავარმა მწვრთნელმა არსენ ნოდენოვმა და ა.შ.

● სერიოზული სკანდალი მოხდა ვლადიკავკაზში ადგილობრივი „სპარტაკ-ალანიასა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩის მერე (0-0), რის თაობაზეც იმსჯელა პროფესიული საფეხბურთო ლიგის საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტმა. თამაშის დამთავრების შემდეგ სამსაჯო ოთახში ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა და ლანძღვა-გინება გაიმართა ორივე გუნდის წარმომადგენელთა შორის. კომიტეტმა „სპარტაკ-ალანიას“ გენერალური დირექტორი და გუნდის უფროსი ბატრაზ ბიტაროვი გადააყენა თანამდებობიდან და სეზონის ბოლომდე აუკრძალა ოფიციალურ მოვალეობათა შესრულება, გარდა ამისა, კლუბის ხელმძღვანელობის წინაშე დაისვა საკითხი შემდგომში მისი ამ თანამდებობაზე დატოვების შესახებ. 500 ათასი მანეთით დააჯარიმეს „ტორპედოს“ მწვრთნელი ვალენტინ ივანოვი, რომელმაც უშვერი სიტყვებით გალანძღა „სპარტაკ-ალანიას“ წარმომადგენლები.

5 მილიონი მანეთით დააჯარიმეს ვლადიკავკაზის კლუბი, ვინაიდან მან სამსაჯო ოთახში ვერ დაამყარა საჭირო წესრიგი, „სპარტაკ-ალანია“ გააფრთხილეს, რომ თუ მსგავსი ამბავი განმეორდა, გუნდის თამაშებს ვლადიკავკაზიდან ნეიტრალურ სტადიონზე გადაიტანენ.

## უნიკალური შემთხვევა ანუ ძილი შუა თამაშში

ეს მართლაც უნიკალური შემთხვევა მოხდა კანადის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატზე. ოსტატმა ბრაიონ ნიკლოფმა თამაშის დროს... ჩაიძინა. ამ ინციდენტმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია კანადის საჭადრაკო წრეებში და გარკვეული გავლენა იქონია ტურნირის საბოლოო შედეგებზე.

ძილის მოყვარულმა მოჭადრაკემ თავისი მეტოქე, ოსტატი გლენ ჯონსტოუნი საგონებელში ჩააგდო ჯერ კიდევ მაშინ, როცა მესამე ტურის პარტიაში გაკეთდა საწყისი სვლა. ნიკლოფმა დაიგვიანა... 40 წუთი.

ასე იყო თუ ისე. მატჩი დაიწყო. მეტოქეებმა სწრაფად გაითამაშეს დებიუტი, მაგრამ მერვე სვლაზე ჯონსტოუნმა რამდენიმე წუთი იფიქრა. მერე გააკეთა სვლა, ჩაიწერა იგი და შეხედა პარტნიორს, რომელსაც ამ დროისთვის უკვე მშვიდად ეძინა.

წესების თანახმად ასეთ სიტუაციაში არბიტრს ჩარევის უფლება არა აქვს, ნიკლოფის საათზე დრო მიდიოდა, მოჭადრაკის გაღვიძებას კი ვერავინ ბედავდა. ალამის ჩამოვარდნამდე 10 წუთით ადრე ერთ-ერთ მონაწილეს ნერვებმა უმტყუნა და ვითომც შემთხვევით, დაეჯახა მძინარეს.

ნიკლოფმა მოიფშვნიტა თვალები, გაემართა ტუალეტისკენ და პირზე წყალი შეისხა. როცა დარბაზში დაბრუნდა, მსაჯს ბრედ ტომსონს (სხვათა შორის, ძილის მოყვარულის მეგობარს) განაჩენი გამოტანილი ჰქონდა: ნიკლოფს დამარცხება მიუსაჯა. მოტივი? სავსებით მარტივი და გასაგები — მოჭადრაკეს არ შეეძლო თამაშის გაგრძელებაო.

განაწყენებულმა ნიკლოფმა ტურნირის სააპელაციო კომისიაში პროტესტი შეიტანა. გაჩაღდა კამათი, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ რეგლამენტში ასეთი შემთხვევა — კაზუსი არ იყო გათვალისწინებული. კომისიის წევრთა ნაწილმა მსაჯს დაუჭირა მხარი, ნაწილმა — დაზარალებულს. ისინი, ვინც მხარს უჭერდნენ არბიტრს, ამტკიცებდნენ, რომ მძინარის ძალით გაღვიძება კარნახის ტოლფასიაო. აი ხვრინვა რომ ამოეშვა, მაშინ მსაჯს ექნებოდა მისი გაღვიძების უფლება. მაგრამ ნიკლოფი არავის უშლიდა ხელს — მას ახლადშობილის ძილით ეძინა.

ხმების უმრავლესობით კომისიამ არბიტრის გადაწყვეტილება შეცდომად მიიჩნია. პარტია უნდა გაგრძელდეს — იყო ვერდიქტი. ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა ჯონსტოუნი და პროტესტის ნიშნად დათმო პარტია. ტურნირის ექვსმა მონაწილემ მხარი არბიტრს დაუჭირა და მისი გადაწყვეტილება სამართლიანად მიიჩნია.

ამ ინციდენტის გარჩევა ეროვნულმა სააპელაციო კომისიამ იკისრა. მათი აზრის ტელეფონით გამოკითხვამ დაადასტურა არბიტრის გადაწყვეტილებების სისწორე. ეროვნული კომისიის წევრთა აზრი ცნობილი გახლა ბოლო, მეცხრე ტურის წინ. ოსტატმა დინ ერგოტმა, რომელთანაც უნდა ეთამაშა ნიკლოფს დასკვნითი პარტიაში, სოლიდარობის ნიშნად უარი თქვა თამაშზე. ძილის მოყვარულმა მოჭადრაკემ მიიღო ოქროს ქულა, რომელმაც იგი ტურნირის სხვა ორ მონაწილესთან (ფრანსუა ლევეი და რონ ლიფშიცი) ერთად პირველ ადგილზე გაიყვანა.

ამ ინციდენტში განსაკუთრებით ხაზგასასმელია ერგოტის დიდსულოვნება, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში თავად ხდებოდა კანადის ჩემპიონი, ხოლო ყაიმის შემთხვევაში პირველ ადგილს ინაწილებდა აღნიშნულ მოჭადრაკეებთან...

## ნბა ბობოქრობს

ორთვენახევარია, რაც აშშ-ს პროფესიულ კალათბურთში ვნებათაღელვაა. ნბა-ს კალათბურთელთა გაფიცვა დაიწყო 1 ივლისს და, როგორც იქნა, დამთავრდა შეთანხმებით სპორტსმენებსა და ლიგის ხელმძღვანელებს შორის. გარიგების მთავარი შედეგი გახლავთ ის, რომ რეგულარული ჩემპიონატი დაიწყება დროზე — 3 ნოემბერს. არადა, იყო საშიშროება 1995-96 წლების ჩემპიონატის გაუქმებისა, ყოველ შემთხვევაში, ნბა-ს კომისარმა დევიდ სტერნმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ თუ შეთანხმება არ მიიღწევა, ნბა-ს ადმინისტრაცია იძულებული გახდებოდა წასულიყო ასეთ უკიდურეს ზომაზე.

ახალ კოლექტიურ შეთანხმებას, რომელიც „შეთქმულთა“ ერთი ნაწილის აზრით, ზღუდავს მოთამაშეთა უფლებებს, მხარი დაუჭირა 226 კალათბურთელმა (134 წინააღმდეგი). კენჭისყრის ცერემონიალი ორი ტურისაგან შედგებოდა. პირველი გაიმართა 30 აგვისტოს, მეორე — 7 სექტემბერს. კენჭისყრაში მონაწილეობდა აშშ-ს 47 ქალაქი (ფაქტობრივად, ლიგის ყველა კლუბი). სხვადასხვა მიზეზის გამო თავისი პოზიცია ვერ დააფიქსირა 62-მა კალათბურთელმა.

კალათბურთელთა პროფკავშირის პრეზიდენტის ბაკ უილიამსის („პორტლენდი“) განცხადებით, მოთამაშეები დაიღალნენ გამუდმებითი კამათითა და ბრძოლით ლიგის ხელმძღვანელებთან. მათი საქმეა თამაში და არა პოლიტიკა, თუმცა ვიღაცამ კალათბურთელთა ინტერესები და უფლებები ხომ უნდა დაიცვასო.

მიუხედავად იმისა, რომ ახალ ხელშეკრულებას ხმა მისცა კალათბურთელთა უმრავლესობამ, დოკუმენტის ოფიციალური რატიფიკაცია ჯერ არ მომხდარა. ამას სჭირდება კიდევ 7 დღე, რაც კანონმდებლობის მიხედვით, სავსებით საკმარისია პოზიციის გადასახედად და პროტესტისათვის. სხვათა შორის, პირველი რეციდივი უკვე დაფიქსირდა. „საკრამენტო კინგზის“ მცველმა მიტჩ რიჩმონდმა საჩივარი შეიტანა ნბა-ს კომისარ დევიდ სტერნზე. რიჩმონდის თქმით, სტერნმა ბოროტად გამოიყენა თავისი უფლებები და დააშინა კალათბურთელები იმით, რომ თუ მხარს არ დაუჭერდნენ მას, გააუქმებდა მომავალ ჩემპიონატს. ეს სერიოზული ბრალდებაა და თუ დადასტურდა, სტერნის საქმეები შეიძლება ცუდად წავიდეს.

## პროფესიულ რინგზე

მსოფლიოს კრივის მოყვარულთა უდიდეს ინტერესს იწვევს მაიკ ტაისონის 4 ნოემბრის მატჩი ბასტერ მატის უმცროსთან. სხვათა შორის, ამ დღეს ლას-ვეგასში გაიმართება კიდევ ერთი საინტერესო ორთაბრძოლა რიდიკ ბოუსა და ევანდერ ჰოლიფილდს შორის. ამერიკული კრივის ისტორიაში პირველად ამ ორივე შეხვედრას გადასცემს არა მარტო საკაბელო ტელევიზია, არამედ ჩვეულებრივი, მასობრივი არხი. ეს საშუალებას მისცემს მილიონობით კრივის მოყვარულს პირდაპირ, ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე იხილოს საინტერესო ბრძოლები.

ინგლისელმა ლენოქს ლუისმა წინადადებით მიმართა მსოფლიოს ახალ ჩემპიონს მძიმე წონაში ფრენკ ბრუნოს (ვბს-ს ვერსია) შეხვდეს მომავალი წლის დასაწყისში „ოქროს ქამრის“ გასათამაშებლად. ლუისის პრომოუტერი თანახმაა ამ ორთაბრძოლაში ბრუნოს გადაუხადოს 3,3 მილიონი გირვანქა სტერლინგი, რაც 5,1 მილიონ დოლარს შეადგენს. პრინციპში ბრუნო თანახმაა მიიღოს ლუისის წინადადება. მაგრამ სანამ ხელშეკრულება გაფორმდება, ოფიციალურად, მხარეებმა ბევრი რამ უნდა დააზუსტონ.

მსოფლიოს ჩემპიონს ვბს-ს ვერსიით, 33 წლის მექსიკელს ხულიო სესარ ჩავესს განზრახული აქვს პროფესიულ რინგზე 100 და მეტი ორთაბრძოლა გამართოს. ჯერჯერობით მის ანგარიშზეა 97 შეხვედრა, რომელთაგან 95 მან თავის სასარგებლოდ დაამთავრა. ჩავესმა პროფესიულ რინგზე გამოსვლა 1980 წელს დაიწყო.

**1986 წლის 28 აგვისტოს კოლორადო-სპრინგსის (აშშ) მაღალმთიან ტრეკზე გერმანელმა ველოსიპედისტმა მაიკ მალხოვმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ერთ კილომეტრზე გიტში ადგილიდან (1.02,091). მას შემდეგ გავიდა 9 წელი და რეკორდის გაუმჯობესება ვერ შეძლო ვერავინ, თუმცა ცდა საკმაოდ ბევრი იყო. ამ რამდენიმე დღის წინ კი რეკორდი ბოლოს და ბოლოს დაემხო. კიტოს (ეკვადორი) მაღალმთიან ტრეკზე მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე ესპანელმა ხოსე ესკურედომ დისტანციის გავლას 1.01,945 მოანდომა. მეორე შედეგი ამ შეჯიბრებაზე პოლონელმა გჟეგოჟ ფრეინერმა აჩვენა — 1.03,251, მესამე — მსოფლიოს ექსრეკორდსმენმა, რუსმა ალექსანდრე კირიჩენკომ — 1.03,368.**

**ევროპის ფრენბურთელთა მე-19 ჩემპიონატი, რომელსაც საბერძნეთი მასპინძლობდა, იტალიის ნაკრებმა მოიგო (იგი**

### რა ხდება ქვეყანაზე

**მესამედ გახდა ჩემპიონი). ვერცხლის მედლები მოიპოვეს ჰოლანდიელებმა, ბრინჯაოსი — იუგოსლავიამ. ტურნირის დამთავრების შემდეგ განაწილდა პრიზები, რომლებიც მიიღეს რუსმა დიმიტრი ფომინმა (საუკეთესო თავდამსხმელი), ჰოლანდიელმა ბას ვან დე გორმა (ბლოკის საუკეთესო დამყენებელი), ბულგარელმა ლიუბომირ განევმა (საუკეთესო მომწოდებელი), იტალიელმა სამუელ პაპიმ (საუკეთესო მცველი), ჰოლანდიელმა რონ ზვერფერმა (ბურთის საუკეთესო მიმღები), იტალიელმა პაოლო ტოფოლმა (საუკეთესო პასისათვის). ყველაზე საპატიო პრიზი გადაეცა იტალიელ ლორენცო ბერნარნს — ყველაზე საჭირო მოთამაშეს.**

## კროსვორდი • კროსვორდი • კროსვორდი



თარაზულად: 5. უძველესი სამაგიდო თამაში. 8. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 9. სწორი, ბალახიანი სათამაშო ადგილი, 10. მოძრაობა, რომელიც შედის ძალოსნურ ორჭიდში, 12. სასჯელი თამაშის წესის დარღვევისათვის, 15. ოლიმპიურ რგოლებში წარმოდგენილი კონტინენტი, 16. სპორტის სახეობა, 18. ოლიმპიური ჩემპიონი (1960 წ) სათხილამურო ორჭიდში, 19. ცნობილი ესპანელი მეკარე-ფეხბურთელი, 20. ქართველი ძიუდოისტი, 22. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 23. მძიმედ აღჭურვილი მხედარი შუა საუკუნეებში, 26. მკლავები ზემოთ ანუ... 29. ფეხბურთის მეფე, 30. საწვრთნელი თავმოყრა შეჯიბრების წინ, 31. ცნობილი რუსი სპორტული ჟურნალისტი, მრავალი წიგნის ავტორი, 32. დასავლეთში პოპულარული თამაში ბურთითა და ფიგურებით, 33. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე საფეხბურთო გუნდი (II ჯგ), 34. მიწის საზომი ერთეული ინგლისში, 35. ზამთრის სპორტის ინვენტარი, 36. გამოჩენილი რუსი ფეხბურთელი — მეკარე, 37. ქუთაისის მორაგბეთა გუნდი.

შვეულად: 1. ბრაზილიელი ფეხბურთელი — მსოფლიო ჩემპიონი (1958, 1962 წწ), 2. დამხმარე, შემწე, სპონსორი... 3. სპორტის სახეობა, 4. ბრაზილიელი ფეხბურთელი მსოფლიო ჩემპიონატის (1982) მონაწილე, 6. ბურთის გასვლა მოედნიდან ხაზს გარეთ, 7. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია — შემოკლებული დასახელება, 11. იოგას მოძღვრების მიმდევარი, 12. დახელოვნებული მხედარი, 13. რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე გუნდი, 14. წლოვანება ანუ... 17. რუმინელი ჩოგბურთელი და მწვრთნელი, 19. შეტევა... 21. ოლიმპიური ჩემპიონი 10 კმ. რბენაში (1968), 24. ომამდელი ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი, 25. ქუთაისის საფეხბურთო გუნდი, 26. ალპინისტური ბანაკი სვანეთში, 27. უკრაინის საფეხბურთო გუნდი, სსრ კავშირის ჩემპიონი, 28. პრიზი... 29. სპორტნაწარმის ცნობილი ფირმა, 32. ბილიარდის სათამაშო ჯოხი.

### „ლელოს“ 35-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. გოლფი, 5. ლაზიერი, 6. ხნიკინა, 10. იანცი, 11. მხედარი, 12. იუნიორი, 13. კროკირება, 15. ბურთი, 17. კოვში, 19. ფანდი, 21. უნაგირი, 22. ვეგნერი, 26 იარდი, 27. ისერი, 28. „ავაზა“, 29. ალპინიადა, 30. ეუსებიო, 32. ნოკაუტი, 33. მედეო, 35. კორბუტი, 36. ბაიდარა, 37. ისირო.

შვეულად: 1. კაიზერი, 2. ტურისტი, 3. გურზი, 4. იანგი, 7. გუდაური, 8. ანდიევი, 9. ტრიბუნა, 13. კატეგორია, 14. არგენტინა, 15. ბორგი, 16. იუნკი, 17. კორტი, 18. იგენი, 19. ფარვა, 20. იკოლა, 23. „მრეტები“, 24. ლეონიდი, 25. პაიჭაძე, 31. ოზეროვი, 32. ნავარდი, 33. მატჩი, 34. ოკანო.

### ტრაგედია

უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა 400 მეტრზე თარჯრბენში ევროპის შარშანდელი ჩემპიონის, დონეცკელი ოლეგ ტვერდოხლების სიცოცხლე. უკრაინელ მძლეოსანს გაუფრთხილებლობის შედეგად დაარტყა დენმა. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და სამხედრო მომზადების სამმართველო და ცენტრალური რესპუბლიკური სასპორტო სკოლა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ველოსპორტის მთავარი სპეციალისტი

თამაზ გიორგის ძე ლეჟავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**პანაშვიდი 26 და 27 სექტემბერს 16 საათზე. გამოსვენება 28 სექტემბერს 15 საათზე. დიღმის მასივი, ახმეტელის, 7.**

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს და ყაზახეთის დამსახურებული მწვრთნელი მძლეოსნობაში, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი

ბერტრუდა მაიერი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ქ. შოშიტაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური. მ. წოწორია